



ს.ს. ბალნეოსერვისის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

Financial reporting


JSC Balneoservice



J.B.



სს „ბალნეოსერვისი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წლის 1 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია #6 სააბაზანო კურორტის პარკი. ქ.წყალტუბო, ინდექსი 5400, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკური პირებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანია წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს ბალნეოთერაპიის დაწესებულებას. კომპანია ფლობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში „წყალტუბოს“ თერმულ-მინერალური წყლების საბადოზე მიწისქვეშა მინერალური წყლებით სარგებლობის ლიცენზიას #1000581, რომელიც აიღო 2012 წელს 25 წლის ვადით.



სს „ბალნეოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს.

ქართულ ლარში

შინაარსი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისა და დამტკიცების შესახებ -----4-5

დასკვნითი მოსაზრება -----6-7

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება -----8


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----9-10

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----11

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----12-14

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა

1. ზოგადი ინფორმაცია -----15
2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----16-21
3. მოგების გადასახადის ხარჯი -----22
4. ამონაგები -----23
5. თანამშრომელთა ხარჯები -----24
6. სხვა ხარჯები -----26
7. ძირითადი საშუალებები -----27-28
8. არამატერიალური აქტივი -----29
9. მარაგები -----29
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----30
11. ფული და ფულის ეკვივალენტები -----31
12. საწესდებო კაპიტალი -----32
13. მიღებული სესხები -----32-33
14. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა -----34-39
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან -----40-41
16. პირობითი ვალდებულებები -----42
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები -----42



სს“ბალნეოსერვისი“მენეჯმენტი და დამფუძნებელი

ქ. წყალტუბო, საქართველო


27 სექტემბერი 2022

ხელმძღვანელობის პასუხის მგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად სახავს სააქციოსაზოგადოება „ბალნეოსერვისის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადისა ხსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებსამავეთარილით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათთან მიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი დაახსნილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადისა წარმოსპრინციპის დაცვით, თუმეუსაბამო არაავარაუდო, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.
- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწ




მუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსგავს-ის მოთხოვნებს;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 27 სექტემბერს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია:

დირექტორი ზაზა ძნელაძე



დამოუკიდებელი სპეციალისტის დასკვნა

სს „ბალნეოსერვისის“ მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

მოგახსენებთ, რომ ჩვენ შორის დადებული 2022 წლის 5 სექტემბერს N1 ხელშეკრულების საფუძველზე განვახორციელე ორგანიზაცია სს „ბალნეოსერვისის“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარსადგენი 2021 წლის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) შესაბამისად მონაცემების დამუშავება. ჩვენ ჩავატარეთ სს „ბალნეოსერვისის“ მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლების სრული შემოსავლის ანგარიშგების საკუთარიკაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველამნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სს „ბალნეოსერვისის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლებისათვის, რომელიც დასრულდა მოცემულ თარიღებში, ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები. კომპანიას დაფუძნებისას (1996 წელს) გადმოცემული აქვს ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი (შენობა-ნაგებობები), კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია აღნიშნული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ვერ შევძელი მიმედო მტკიცებულებები ალტერნატიული პროცედურების ჩატარებით 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით



არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე. შედეგად ვერ შევძლებ განვსაზღვრო, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების“ საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემულ პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.


შემსრულებლის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე

ჩემი მიზანია მივიღო გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს) თანახმად ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად და საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას. ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.

გიორგი დვალიშვილი

ქ. წყალტუბო, საქართველო

27 სექტემბერი 2022



სს“ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება


სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშო წლებისთვის ,რომელიც დასრულდა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს.

ქართულ ლარში:

შენიშვნა	2020	2021
საოპერაციო შემოსავალი	424,070	841,565
საოპერაციო საქმიანობაზე		
გახარჯული მარაგები	(45,546)	-
პერსონალის ხარჯები	(392,155)	(436,588)
ცვეთა და ამორტიზაცია	(447,835)	(1,767.167)
საოპერაციო მოგება /ზარალი	(461,466)	(1,362,190)
სხვა სრული შემოსავალი	34,826	25,182,685
რეალიზებული ძირითადი საშვალელების	-	(6,483,364)
საბალანსო ღირებულება		
ფინანსური ხარჯი	(1,391,827)	(2,149,758)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული	(1,722,815)	786,327
სხვა ხარჯები	(72,634)	(844,916)
ზარალი დაბეგვრამდე	(3,613,916)	15,128,784
მოგების გადასახადის ხარჯი-	-	-
წლის ზარალი	(3,613.916)	15,128,784

2020წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:



სს“ბალნეოსერვისი“


მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში

შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	-	8,149,563	9,229,897
არამატერიალური აქტივები	-	130,266	138,266
სულ გრძელვადიანი აქტივები	-	8,279,829	9,368,163
მიმდინარე აქტივები	-	-	-
მარაგები	18,261	95,352	82,858
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	293,998	189	155
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,210,982	18,168	25,174
სულ მიმდინარე აქტივები	25,523,241	113,709	109,363
სულ აქტივები	25,523,241	8,393,538	9,477,526
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები	(6,510,253)		
მესაკუთრეთა კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	522,025	522,025	522,025
აკუმულირებული მოგება/ზარალი	15,128,784	(5,991,811)	(2,837,311)
სულ კაპიტალი	15,650,809	(5,469,785)	(2,315,286)



გრძელვადიანი ვალდებულებები

მიღებული სესხები	13,568,387	13,717,066	10,286,993
------------------	------------	------------	------------

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,568,387	13,717,066	10,286,993
--------------------------------	------------	------------	------------

მიმდინარე ვალდებულებები	8,752,691		
-------------------------	-----------	--	--

მიღებული სესხები	-	-	735,428
------------------	---	---	---------


სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40,499	129,225	59,453
-------------------------------	--------	---------	--------

საგადასახადო ვალდებულებები	12,919	17,032	24,603
----------------------------	--------	--------	--------

სულ მიმდინარე ვალდებულებები	8,806,109	146,257	11,106,477
-----------------------------	-----------	---------	------------

სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და

ვალდებულებები	22,374,496	13,863,323	9,477,526
---------------	------------	------------	-----------



სს „ბალნეოსერვისი „


მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში.

	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	522,025	(2,837,311)	(2,837,311)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(5,991.810)	(5,991,810)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	522,025	(12,502,063)	(12,502,063)
წლის მთლიანი სრული მოგება/ ზარალი	-	15,128,784	15,128,784
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	522,025	2,626,721	3,148,745
წლის მთლიანი სრული მოგება/ ზარალი			



სს „ბალნეოსერვისი“


მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში

შენიშვნა	2020	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(5,991,810)	2,626,721
კორექტირებები:		
მარაგების ჩამოწერა	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	447,835	1,767,167
საპროცენტო ხარჯები	1,391,827	2,149,758
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული	(1,722,815)	(786,327)
(მოგება/ ზარალი)		
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში	(5,874,963)	5,757,319
ცვლილებამდე		
მარაგების შემცირება	95,352	110,960
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების	189	(293,998)
ზრდა/შემცირება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	129,474	40,499
ზრდა/შემცირება		
საგადასახადო ვალდებულებების	17,032	12,919
ზრდა/შემცირება		



ფულადი ნაკადები და საოპერაციო საქმიანობიდან	(5,632,916)	5,627,699
გადახდილი პროცენტი	(1,213,743)	(2,149,758)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,846,659)	3,477,941
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,355)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,355)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა	(2,232,176)	(804,839)
სესხების მიღება	4,385,564	148,679
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,153,388	(656,160)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა /შემცირება	(5,822)	25,505,075
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25,173	18,168
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი		
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(1,183)	-




ფული და ფულის ეკვივალენტები წლის

ბოლოს

18,168

25,523,243



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში:


1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ბალნეოსერვისი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წლის 1 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია #6 სააბაზანო კურორტის პარკი, ქ. წყალტუბო, ინდექსი 5400, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკური პირებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანია წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს ბალნეოთერაპიის დაწესებულებას. კომპანია ფლობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში „წყალტუბოს“ თერმულ-მინერალური წყლების საბადოზე მიწისქვეშა მინერალური წყლებით სარგებლობის ლიცენზიას #1000581, რომელიც აიღო 2012 წელს 25 წლის ვადით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციებს ფლობდნენ.

	31.12.2020		31.12.2021	
დამფუძნებელი	აქციათა	%	აქციათა	%
	რაოდენობა		რაოდენობა	
Prodamax Holding Limited	397,224	97,82 %	397,224	97,82 %
თავდაცვის სამინისტრო	4,28	1,09%	4,428	1,09%
ინდივიდუალური პირები	4,28	1,09%	4,428	1,09%
სულ	406,080	100,00%	406,080	100,00%

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის Prodamax Holding Limited.



სს„ბალნეოსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

სს „ბალნეოსერვისი“ -

სფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულადრთეულში -

ქართული ლარი დამასში მოქცეულია ყველა პერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31

დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს

პრინციპის დაშვებით ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას

პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი

აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის. მცირე და

საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს გარკვეული

სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ მენეჯმენტმა

გამოიყენოს მსჯელობა ყველაზე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის

მიღებაში, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია

იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები


მსს ფასს 25-ე განყოფილების მიხედვით

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღირდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

იჯარა

მსს ფასს მე-20 განყოფილების

მიხედვით, სადაც მოიჯარეს საწარმოო იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველარის კს და სარგ



ებელსაკუთრებისგადაცემისუფლებასთანდაკავშირებითმოიჯარისმიერ, სრულისაიჯაროგადასახადიისახებაწლისმოგება- ზარალშიწრფივიდარიცხვისმეთოდითმთელისაიჯაროპერიოდისმანძილზე. იჯარარისმუქცევადი, რომლისდროსაცმოიჯარედაკავშირებულიაექტივისფლობასთანდამომაგალპირობებთან, რომლისმიხედვითაცმოიჯარესაქვსშესაძლებლობაგაგრძელოსიჯარისხანგრძლივობამომაგალიგადასახდელებისარსებობისანარარსებობისშემთხვევაში, როდესაციჯარისდაწყებისასმკაფიოდარისგანსაზღვრული, რომმოიჯარეგამოიყენებსამვარიანტს.

სავაჭროვალდებულებები,სავაჭროდასახვამოთხოვნები

საქონელზეანმომსახურებებზესავაჭროურთიერთობებისგანხორციელებისასკონტრაგენტისაბალანსთანგარიშებშიფორმირდებაგადახდილიანგადასახდელიდირებულებისფორმისშესაბამისადდებიტორადანკრედიტორად, თუმცაგანგრძობადიურთიერთობისშემდგომარხდებამისისაბალანსომდგომარეობისშეცვლადაშესაბამისადაღნიშნულანგარიშებზეშესაძლოაწარმოიშვასუარყოფითინაშთი. დებიტორულდაჩვეულებრივისაკრედიტოპირობებითაღებულსავაჭროვალდებულებებსპროცენტიათრიცხება. საანგარიშგებოპერიოდისბოლოსუცხოურვალუტაშიგამოსახულისავაჭრომოთხოვნა-ვალდებულებებიგადაანგარიშდებაორგანიზაციისფულადერთეულში, საანგარიშგებოთარიღისათვისარსებულისავალუტოკურსისმიხედვით, საკურსოსხვაობითწარმოქმნილიშემოსულობაანზარალიისახებაარასაოპერაციოშემოსავალში იანარასაოპერაციოხარჯებში.ყოველისაანგარიშგებოპერიოდისბოლოსგაანალიზდებასავაჭროდასახვამოთხოვნა-ვალდებულებებისსაბალანსოდირებულებები, რათადადგინდეს, არსებობსთუარაობიექტურიმტკიცებულებამისა, რომესთანხებიარარისამოღებადიანგადასახდელი.ამგვარიმტკიცებულებისარსებობისშემთხვევაშიგაუფასურებისზარალიანშემოსავალიარდებამოგება/ზარალში.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

(ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ვალუტაში, იმ ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით,რომელშიც სუბიექტი ფუნქციონირებს (ფუნქციონალურივალუტა).წინამდებარე ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში,რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

(ბ) გატარების და ნაშთების ვალუტა

მსს ფასს 30-ე განყოფილების მიხედვით უცხოურ ვალუტაში წარმოებული ტრანზაქციები კონცენტრირებულია ფუნქციონალურ ვალუტაშიოპერაციის დღეს არსებული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსისშესაბამისად.უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს



ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. წლის ბოლოსათვის კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერსუცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3,5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

ძირითადი საშუალებები

პირადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება მსს ფასს მე-17 განყოფილების მიხედვით ხდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგაქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ცვეთა დარიცხულია წრფივად ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ქვემოთ მოცემული ძირითადი საშუალებების აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები.

სასარგებლო მომსახურების

	ვადა
შენობა- ნაგებობებ	5%
მანქანა -დანადგარები	20%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20%
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება

მიწას ცვეთა არ ერიცხება .



სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებოპერიოდის ბოლოსდირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით,პერსპექტიულ საფუძველზე.კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებოწლის ბოლოს, რათა განისაზღვროს გაუფასურების ნიშნების არსებობა.ასეთის აღმოჩენის შემთხვევაშიფასდება აქტივის აღდგენითი ღირებულება.გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ აღდგენით ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალიაღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალისანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები.არამატერიალური აქტივები ,რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით,რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე.სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.არამატერიალური აქტივები ,რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ,აღირიცხება თვითღირებულებით,რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს ლიცენზიაზე 25 წელს,ხოლო სხვა არამატერიალურ აქტივებზე 10 წელს.


არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი განსხვავების დროს ან მაშინ,როცა მისი ექსპლუატაციიდან ან განსხვავებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მარაგები.

მარაგების საწყისი აღიარება მსს ფასს მე-13 განყოფილების მიხედვით ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს,რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ფული და ფულადი ეკვივალენტები.

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.ფული და ფულადი ეკვივალენტები ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა(გაგრძელება)


ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და აღიარება

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს შემდეგ კატეგორიებად: სესხები და მოთხოვნები,რეალური ღირებულებით აღიარებული გასაყიდად გამიზნული ფინანსურიაქტივები და დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები. კომპანია ადგენს საკუთარიფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

ესენი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.კომპანიის სესხები და მოთხოვნებიმოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს ,გასაყიდად არსებულ ან რეალურიღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით,რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:


ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღიარება.

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: ა) გასაყიდად გამიზნული, რომელიც მოიცავს დერივატივებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად გამიზნული ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, რომლის ცვლილებაც (ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი) აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებასა და ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზებადი ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მიღებული სესხების სახით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, დამატებულია გარიგების დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური ვალდებულებების ემისიას. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: 1) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა ან 2) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

მოგების გადასახადის ხარჯი

მსს ფასს მე-19 განყოფილება განიხილავს მოგების გადასახადს. 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.


მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების ახალი გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება. ტექნიკურად 15%/ 85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არა უგვიანეს მომდევნო 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- . გადახდილი დივიდენდი
- . სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- . ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- . გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.
- . საჩუქრები და უფასო მიწოდება.
- . წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა დაგროვილი საგადასახადო ზარალი. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, არსებობს განუსაზღვრელობა აღნიშნული საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გამოყენებასთან დაკავშირებით, ამიტომ მენეჯმენტმა არ აღიარა მოცემულ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის აქტივი.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში:

დამატებითი ღირებულების გადასახადი(დღგ)


კომპანიის საქმიანობა, სპეციფიკიდან გამომდინარე, გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადიდან, რადგან წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას.

ამონაგები.

მსს ფასს 23-ე განყოფილების მიხედვით მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- . ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ.
- . მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შესვლა კომპანიაში.
- . შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
- . შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით


ქართულ ლარში:

თანამშრომელთა ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები.

მსს ფასს 28-ე განყოფილების მიხედვით ხელფასები,პრემიები,ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში,როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით.სააქციო კაპიტალში ცვლილებები (მოცულობის,მფლობელების და ა.შ) ხორციელდება კომპანიის მფლობელების ერთობლივი გადაწყვეტილებით.სააქციო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება იმ ოდენობით, რა ოდენობის შენატანებიც განახორციელეს კომპანიის მფლობელებმა.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება


2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

მნიშვნელოვანისააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.



სს„ბალნოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:


	2020	2021
კომუნალური გადასახადი	(88,753)	(84,014)
ბუნებრივი რესურსების სარგებლობის	(190,735)	(110,960)
მოსაკრებელი		
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული	(47,241)	(7,461)
მომსახურეობა		
ოფისის ხარჯი		
სალიცენზიო ჯარიმა		
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		
სხვა	(13,624)	(114,013)
სულ	(340,353)	(316,448)

ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
თედო ჟორჟოლიანი	-	-
სს საქართველოს ბანკი	(267,895)	(225,032)
RIDDLESFORD FINANCIAL SA	(1,689,405)	(1,166,691)
სულ	(1,957,300)	(1,391,723)



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით


ქართულ ლარში:

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება მიწა შენობა მანქანა ავეჯი დაუძთავრებელი სულ
ნაგებ. დანადგ. აღჭურ. მშენებლ .

ნაშთი 2020 წლის 01 იანვარი.	201,700	6,357,428	1,759,846	370,688	540,235	9,229,897
შემოსავლები	-	-	3,030	325	-	3,355
გასავალი	-	-	-	-	-	-
შიდა რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბ.	201,700	6,357,428	1,762,876	371,013	540,235	9,233,252
შემოსავლები	-	-	-	-	-	-
გასავალი	201,700	6,357,428	1,762,876	371,013	540,235	9,233,252
შიდა რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბ.	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2020 წლის 01 იანვარი	-	(967,024)	(1,275,062)	(245,873)	-	(2,487,959)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(299,377)	(148,478)	(28,160)	-	(476,015)
გასული ძირითადი საშუალებების	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	(1,266,401)	(1,423,540)	(274,033)	-	(2,963,974)



დარიცხვა წლის განმავლობაში -	(1,131,038)	(477,757)	(99,970)	-	(1,708,765)
გასული ძირითადი საშუალებების -	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა					

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი -	(2,397,439)	(1,901,297)	(374,003)	-	(4,672,739)
--------------------------------	-------------	-------------	-----------	---	-------------

საბალანსო ღირებულება

წმინდა საბალანსო ღირ.	201,700	5,390,404	484,784	124,815	540,235	6,741,938
-----------------------	---------	-----------	---------	---------	---------	-----------

2020 წლის 01 იანვარი


წმინდა საბალანსო ღირ.	201,700	5,091,027	339,336	96,980	540,235	6,269,278
-----------------------	---------	-----------	---------	--------	---------	-----------

2020 წლის 31 დეკემბერი

წმინდა საბალანსო ღირ.	-	-	-	-	-	-
-----------------------	---	---	---	---	---	---

2021 წლის 31 დეკემბერი

სს„ბალნეოსერვისის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობები(საკადასტრო კოდები-29,08-34,035: 29,08,34,036: 29,08,34,037:29,08,34,038:29,08,34,039:29,08,34,040:29,08,34,041:29,08,34,042: 29,08,34,043:29,08,34,044 და 29,08,34,045) ჩადებული სსსაქართველოს ბანკისგან სესხების უზრუნველყოფაში.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

არამატერიალური აქტივი


მსს ფასს მე-18 განყოფილების მიხედვით განიხილება არამატერიალური აქტივი.კომპანიამ 2012 წლის 12 აპრილის საქართველოს მთავრობის #696 განკარგულების საფუძველზე მოიპოვა 200,000 ლარად ლიცენზია წყალტუბოს რაიონში თერმულ - მინერალური წყლების საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლების მოპოვებასთან დაკავშირებით.ლიცენზიის სარგებლობის ვადაა ლიცენზიის გაცემიდან 25 წელი.მინერალური წყლის დღე-ღამეში მოპოვების და გამოყენების მოცულობა განისაზღვრება 12 ათასი კუბური მეტრით.კომპანია ლიცენზიის ამორტიზებას ახორციელებს წრფივად,ლიცენზიის პერიოდზე (25წელი)პროპორციულად.

არამატერიალური აქტივი	2020 წელი	2021 წელი
საწყისი ნაშთი 1 იანვარი	138,266	130,266
ცვეთა	8,000	8,000
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბერი	130,266	-

მარაგი

მარაგები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად.

	2021	2020
სერვისის გასაწევად საჭირო მასალები	143,679	95,352
სულ	143,679	95,352




სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭროდა სხვა მოთხოვნები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	2020	2021
ფინანსური მოთხოვნები	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	189	-
სხვა	-	293,998
სულ ფინანსური მოთხოვნები	189	293,998
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	-	-
სულ არაფინანსური მოთხოვნები	-	-
სულ მოთხოვნები	189	293,998

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება


2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	2020	2021
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	631	21,710
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	27	25,186,475
ნაღდი ფული	17,510	2,796
სულ	18,168	25,523,243



სს„ბალნოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

საწესდებო კაპიტალი

2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციებს ფლობდნენ:


	31,12,2021		31,12,2020	
დამფუძნებელი	აქციათა		აქციათა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
PRODAMAX HOLDING LIMITED	397,224	97,82%	397,224	97,82%
თავდაცვის სამინისტრო	4,428	1,09%	4,428	1,09%
ინდივიდუალური პირები	4,428	1,09%	4,428	1,09%
სულ:	406,080	100,00%	406,080	100,00%

მიღებული სესხები


მიღებული სესხები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს

გრძელვადიანი სესხები

დასახელება	საპროც. განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	31.12.2020	31.12.2021
სს. საქართველოს ბანკი სესხი 6770385	8.5%	აშშ დოლარი	31.07.2020		1,540,002	2,956,876
RIDDLESFORD FINANCIAL SA RID BAL/300	12%	აშშ დოლარი	01.01.2019		10,578,083	10,611,511



სს. საქართველოს ბანკი სესხი 6770407	8.5%	აშშ დოლარი	31.07.2020		855,193	-
სს. საქართველოს ბანკი სესხი 3421203	6 თვიანი LIBOR + 7.1016% მაგრამ არანაკლებ 8%	აშშ დოლარი	05.04.2016	04.04.2023	-	-
სს. საქართველოს ბანკი სესხი 3879933	6 თვიანი LIBOR + 8% მაგრამ არანაკლებ 8%	აშშ დოლარი	18.10.2016	18.10.2023	-	-
სს. საქართველოს ბანკი სესხი 3419977	5,50%	აშშ დოლარი	17,03,2016	21,12,2018	252,298	-
სს. საქართველოს ბანკი სესხი 3323223	6.75%	აშშ დოლარი	27,01,2016	21,12,2018	491,490	-
ირაკლი ხვედელიძე	10%	აშშ დოლარი	10,12,2017	10,01,2018	-	-
სულ					13,717,066	13,568,387



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფინანსური რისკები:

. საკრედიტო რისკი

. ლიკვიდურობის რისკი

. საბაზრო რისკი

. სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად კომპანიაში არის რისკები, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების აღმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდები. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.


ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, შემდეგია :

	31,2,20 20	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	189	293,998
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,168	25,523,243
სულ ფინანსური აქტივები	18,357	25,817,241
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	129,225	1,667,951
მიღებული სესხები	13,717,066	13,568,387
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,846,291	15,236,338

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროფესია

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის, მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისათვის. მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისათვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან. მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნების და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.



სს„ბალნოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით


ქართულ ლარში:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუმომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მეორე მხარეს აქვს ფინანსური სირთულეები და ვერაზორციელებს კომპანიისათვის თანხების დაბრუნებას. კომპანიის ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი არ არის არსებითი ეფექტის მატარებელი მის საქმიანობაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერთავის საბრუნავი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

ფინანსური ინსტრუმენტები- რისკების მართვა(გაგრძელება)

საბაზრო რისკი


საბაზრო რისკი არის რისკი იმისა,რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში ნომინირებული საპროცენტო და სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.მოცემული რისკიმდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი)და ვალუტის კურსის(სავალუტო რისკი)ცვლილებების გამო.

სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა,რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები.კომპანია არ იყენებსდერივატივებსსავალუტო რისკის მართვისათვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2021 და 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:



ლარი 1 დოლარი=

3,2766 31,12,2020

ფინანსური აქტივები	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,173	7,005	18,168
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	83,015	82,826	189
სულ ფინანსური აქტივები	108,188	89,831	18,357

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	59,453	69,772	129,225
მიღებული სესხები	11,708,757	2,008,309	13,717,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,768,210	2,078,081	13,846,291
საბალანსო პოზიცია	(11,660,022)		(13,827,934)


ლარი 1 დოლარი=

3,0976 ლარი 31,12,2021

ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,168	25,505,075	25,523,243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	189	293,809	293,998
სულ ფინანსური აქტივები	18,357	25,798,884	25,817,241

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	129,225	1,538,726	1,667,951
მიღებული სესხები	13,717,066	148,679	13,568,387
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,846,291	1,687,405	15,236,338
საბალანსო პოზიცია	(13,827,934)		10,580,903



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:


ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა(გაგრძელება)

1. მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20% -ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აშშ დოლარი

31,12,2020	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი 20%
მოგება/ზარალი	(2,743,413)	2,743,413
აშშ დოლარი		
31,12,2021	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი 20%
მოგება/ზარალი	(2,626,721)	2,626,721



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:


საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2019 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართარსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებების შეფასებას გონივრულობის ფარგლებში.



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ.

მსს ფასს მე-6 განყოფილების მიხედვით კომპანიის კაპიტალი მოიცავს სააქციო კაპიტალს და აკუმულირებულ ზარალს. კომპანიის მენეჯმენტის როლს წარმოადგენს კაპიტალის დაცვა და ზრდა, ასევე მეწილეებისთვის ადეკვატური შემოსავლის უზრუნველყოფა. კომპანიის მიზანი კაპიტალი შენარჩუნებისას არის:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

1. მსს ფასს 33-ე განყოფილების მიხედვით: ა) მხარე პირდაპირ ან ერთ ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს). კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი:

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი.

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან რომელშიც მნიშვნელოვანი უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი. გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2021
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(48,000)	(66925)



კომპანიის და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა	ფინანსურ
დაკავშირებული	ანგარიშგებაში
მხარე	შესაბამისი მუხლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მიღებული სესხები -4,385,564

კომპანიის და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა	ფინანსურ
დაკავშირებული	ანგარიშგებაში
მხარე	შესაბამისი მუხლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მიღებული სესხი -148,679

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს, წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი

სრული შემოსავლის ანგარიშგება


საპროცენტო ხარჯი 2020 წლის (1,391,827)

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საპროცენტო ხარჯი 2021 წლის (2,149,758)



სს„ბალნეოსერვისი“

მსს ფასს სტანდარტების ანგარიშგება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში:

პირობითი ვალდებულებები

მსს ფასს მე-13 განყოფილების მიხედვით განიხილება პირობითი ვალდებულებები. გადასახადები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებით და ცვლილებებით. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში, **საოპერაციო გარემო.** საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

მსს ფასს 32-ე განყოფილების მიხედვით ბალანსის შემდგენის თარიღის შემდგომ მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომ მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შემდგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დირექტორი ზაზა ძნელაძე

